



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 28 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №185/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2019 წლის 7 ნოემბრის №185 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის №450/185-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 5 დეკემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას ხდის სადავოდ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

--- წარმომადგენელმა 2018 წლის 2 აგვისტოს განცხადებით მიმართა --- სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით (მოსამართლე ---). 2018 წლის 2 აგვისტოს განჩინებით --- წარმომადგენლის განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 11 ივლისის განჩინებით --- განცხადება --- სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმისწარმოების განახლების შესახებ, დასაშვებად იქნა მიჩნეული. სასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 22 ნოემბერს.

2019 წლის 14 იანვრის განჩინებით მესამე პირს, --- განცხადების და თანდართული დოკუმენტების შინაარსი ეცნობა საჯარო გავრცელებით. 2019 წლის 20 იანვარს გაიმართა სასამართლო სხდომა. 2019 წლის 13 ივნისის განჩინებით მესამე პირს, --- სასამართლო უწყება ჩაბარდა საჯარო გავრცელებით.

2019 წლის 24 ივნისს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით საქმე გადაეცა მოსამართლე ---. 2019 წლის 24 ივნისის განჩინებით სამოქალაქო საქმე აცილებულ იქნა მოსამართლე --- მიერ და სხვა --- სასამართლოზე გადასაცემად გადაეგზავნა --- სააპელაციო სასამართლოს. 2019 წლის 28 ივნისს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით საქმე გადაეცა მოსამართლე ---.

სასამართლო სხდომები გაიმართა 02.07.2019; 15.10.2019; 30.10.2019 წწ პერიოდებში. 2019 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და დარჩა განუხილველი.

2019 წლის 1 ნოემბერს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2019 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 დეკემბრის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს ემყარება, განცხადების შეტანის ვადა იწყება იმ დღიდან, როცა გადაწყვეტილება ეცნობა მხარეს, თუ იგი ქმედუუნაროა – მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ იგი არის მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, – მას ან მის

მხარდამჭერს. აღნიშნული ვადის ათვლა იწყება უფრო გვიან ჩაბარებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 დეკემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- №185 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი